№ 97 მაისი 11, ხუთშაბათი 1889 მაისი 11, ხუთშაბათი № 97

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889 1877—1889

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასავლეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

კნეინა სოფიო ვასილის ასული გურიელისა შვილებითურთ და გენერალ-მაიორი თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ პარასკევს, 12 მაისს, გენერალ-ლეიტენანტის თავად ლევან დავითის ძის გურიელის გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილი იქმნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, დილის 10 საათზე, წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის მოსახსენებლად. (2—1)

კვირას, 14 მაისს

მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

სეირნობა

და

ლატარია-ალლეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზედ. ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ღირება.

დაწვრილებით აფიშებშია გამოცხადებული

ტფილისი, 10 მაისი

როდესაც ხმა გავრცელდა, რომ „წერა-კითხვის საზოგადოება“ აპირებს თავისის ათის წლის მოღვაწეობის დღეობის გადახდასაო, საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქიდგანა და დაბა-სოფლიდგან „საზოგადოებას“ თანაგრძნობის წერილები მოუვიდა და აქა-იქ „საზოგადოების“ სასარგებლოდ ხელის-მოწერა და წარმოდგენებიც გაჰმართეს. ამითი დამტკიცდა, რომ ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოება“ თანდათან მეტს თანაგრძნობას ჰპოულობს ქართველობაში და რომ ქართველობა, რაც დღე მიდის, უფრო და უფრო აფასებს საზოგადოების მოღვაწეობას.

ეს გარემოება ხელ-ახლად მიზეზს გვაძლევს მკითხველს ლაპარაკი ჩამოვუგდოთ „წერა-კითხვის საზოგადოებაზე“. „წერა-კითხვის საზოგადოება“ რომ საშვილიშვილო დაწესებულებაა, ამაზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა და, ვგონებთ, თითოეული გონიერი და კეთილის მსურველი ქართველიც ამ აზრისავეა. ამ «საზოგადოებამ» რომ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს წერა-კითხვასა და მწიგნობრობას, ესეც უეჭველი და ყველასაგან ცნობილია. აქ მხოლოდ იმაზე უნდა ვილაპარაკოთ, თუ რა საშუალებით უნდა მოუმართოს ხელი ქართველობამ ამ საშვილიშვილო დაწესებულებას. სხვათა შორის ერთი სახსარი საზოგადოების არსებობისა და მოქმედებისა ნივთიერი საშუალებაა, ურომლოდაც ვერც ერთი დაწესებულება ვერ იდღეგრძელებს. ამას საკმაოდ ჰგრძნობს ჩვენი საზოგადოება და ამიტომ დრო გამოშვებით კიდეც ხელს უმართავს „წერა-კითხვის საზოგადოებას“. ჩვენ ვამბობთ დრო-გამოშვებითაო, იმიტომ-რომ არც ერთი ქალაქი თუ დაბა-სოფელი გამუდმებით არ ეხმარება „წერა-კითხვის საზოგადოებას“. მხოლოდ ზოგიერთ მოკეთის თაოსნობითა და ისეთის შემთხვევის გამო, როგორიც დღეობა არის, აქა-იქ იმართება წარმოდგენა და დახმარებაც ამითი თავდება. ეს კარგი, ხოლო უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გვარს დახმარებას ბევრად ისა სჯობია, რომ ჩვენმა პროვინციალურმა საზოგადოებამ ვალად დაიდოს ყოველ წლივ აღმოუჩინოს ხოლმე დახმარება საზოგადოებას. ყოველს წელს ჩვენს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში წარმოდგენები იმართება და სწორედ კარგი იქნება, წარმოდგენის მოთავეთა და მოთამაშეთ რამდენიმე წარმოდგენა თუ კონცერტი «წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ გაჰმართონ ხოლმე. ეს იქ სრულიადაც გასაჭირი არ არის, სადაც ხალხი სიამოვნებით ეტანება ქართულს წარმოდგენას და სადაც შეგნებული აქვსთ, რომ ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოება“ საშვილიშვილო საქმეს ემსახურება. ამ ჩვენის აზრის განსახორციელებლად მხოლოდ ეს-ღაა საჭირო: ჩვენმა პროვინციალურმა ინტელიგენციამ დაიხსომოს და ჩაიჭდიოს გულში, რომ ყოველის სასიკეთო საქმის დახმარება ყველა გონიერისა და პატიოსანის მამულიშვილის მოვალეობაა, რომლის უარ-ყოფა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ამავე აზრისაა ჩვენი პროვინციალური ინტელიგენციაც და ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ აზრს იგი საქმედ აქცევს და შეძლებისადა გვარად ხელს მოუმართავს „წერა-კითხვის საზოგადოების“ არსებობასა და მოქმედებას.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, ცხრას მაისს, ქართველთა საზოგადოებამ გაუმართა სადილი გენერალ-ლეიტენანტს კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცოვს ნიშნად ულრმესის პატივისცემისა და მადლობისა იმ დიდ ღვაწლისათვის, რომელიც მან გაუწია სათავად-აზნაურო სკოლას ამ ათის წლის განმავლობაში. თუმცა წვიმიანი დღე იყო და ერთობ ავი-დარი, მაგრამ სამს საათზედ შუადღის შემდეგ დიდ-ძალი ხალხი შეიყარა, ქალი თუ კაცი, „შვეიცარიაში“, მუშტაიდის ახლო, სადაც დანიშნული იყო სადილი. საზოგადოებამ დაავალა ტფილისის მაზრის მარშალს ბ-ნს ლ. ალ. მაღალაშვილს და ილია ჭავჭავაძეს, რომ მოიწვიონ ყოვლად პატივცემული კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მთელის სახლობით საზოგადოების სახელითა. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მობძანდა ოთხის ნახევარზედ მთელის თავის სახლობითა და მთელი საზოგადოება მიეგება დაფა-ზურნითა და „ურას“ ძახილითა.

გაიმართა სადილი და ჩამორიგდა სადღეგრძელოები. ბევრმა იქ მყოფმა შემთხვევის შესაფერი სიტყვა მოახსენა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს, რომელმაც თითქმის ყოველს სიტყვაზედ გულმხურვალე პასუხი

## ფელეტონი

### დედათა უფლების საქმე

(დასასრული*)

ამერიკას ევროპის წინაშე ბევრ გვარი უპირატესობა აქვს, რის გამოც აქ უკეთესად უნდა ყოფილიყო მოწყობილი ქალების საქმე: იგი გახლავსთ ნორჩი, ახლად გაფურჩქვნილი ქვეყანა, დასახლებული ევროპის ხალხთა უკეთესის ნაწილით, მშრომელ და განათლებულ ხალხით, რომელსაც იწვევდა ევროპიდამ ან წმინდა გრძნობა თავისუფალის ცხოვრებისა, ან სურვილი დაუღალავის მხნეობისა და გამრჯელობისა. რასაკვირველია, ამის მიხედვით ყველა იმ ხავს-მოკიდებულს ტრადიციას, რომელიც ჰხუთავდა და ეხლაც ჰხუთავს ევროპიელს ქალს, ან სრულიად უნდა ამოჰკვეთოდა ფეხი ამერიკაში, ან არა-და, ძირი მაინც უნდა შერყეოდა საგრძნობლად. ამერიკელი ქალი იყო ყოველთვის პატივცემული, მხნე, თავისუფალი და დამოუკიდებელის აზრებისა, შეირჩინა ქალობა, ზნეობა და სულის სიფაქიზე. ამერიკელი ქალი ისეთივე მშრომელი მოღვაწეა, როგორც მამაკაცი, რა გვარი შრომაც უნდა აილოთ—წვრილმანი ხელოსნობა, მრეწველობა, ვაჭრობა, რკინისა გზასა და ტელეგრაფზე მუშაობა, ექიმობა, მასწავლებლობა, თუ პროფესორობა,—ყველა ამ საქმეში ქალი არ ჩამოუვარდება მამაკაცს და ზოგიერთში სჯობნის კიდეც, მაგალითად ტელეგრაფზე და წვრილს ხელოსნობაში. ამ გვარის ტიპის შემუშავებას ამერიკელის ქალისას დიდად ჰშველოდა, ჯერ ერთი, ვაჟებისა და ქალების ერთად სწავლა სკოლებში, რის გამოც მეტი პატივისცემა დაიბადა საზოგადოებაში ქალისადმი; მეორე ისა, რომ ქალებს მიეცათ უფლება უმაღლესს სასწავლებლებში შესვლისა. უკვე 1830 წლებში დაარსებული იყო ქალებისათვის უმაღლესი სასწავლებლები, ეგრეთ წოდებული კოლლეჯები, რომელთაც აღზარდეს და გაწვრთნეს მრავალი განათლებული ქალი. 1868 წელს უნივერსიტეტებმაც გაუღეს ქალს კარი. ამ წელს ამერიკაში იყო 20 უნივერსიტეტი, რომლებმაც მისცეს ქალებს ლექციების მოსმენის ნება და ჩარიცხეს ისინი ნამდვილ სტუდენტებად. თუ რამდენად მოიკიდა ფეხი ამერიკაში ქალთა უმაღლესმა განათლებამ, ეს აშკარად სჩანს ძველის სტატისტიურის ცნობებიდამ: 1871 წელს ამერიკაში ექიმ-ქალთა რიცხვი იყო 430, მასწავლებელ-ქალთა რიცხვი უმაღლესის განათლებისა—100,000; 1876 წელს ექიმი-ქალი—800, მასწავლებელი-ქალი 200,000. ამ რიცხვში ჩათვლილნი არ არიან პროფესორი-ქალები, იურისტი-ქალები, მწერალი-ქალები და სხვანი, რომელთა რიცხვიც ათი ათასამდეა. რა თქმა უნდა, რომ ამ ჟამად ერთი-ორად, ერთი-სამად მეტი იქნება განათლებულ ქალთა რიცხვი.

ბევრი ხანია, რაც ამერიკელი ქალი, გარდა უმაღლესის განათლებისა, თხოულობს აგრეთვე სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებას. უკვე 1848 წელს ოგაიოს შტატში დაარსდა «საზოგადოება ქალების მამაკაცებთან გათანასწორებისა და გათანაბრებისა», რომელმაც დაადგინა, რომ ყველა ის კანონი, რომელიც არ აძლევს ქალს საარჩევანო უფლებას, გაუქმებულ იქმნას, რადგან ყოველ გვარი განსხვავება მამაკაცსა და დედაკაცს შორის, საზოგადოებრივი, თუ ქონებრივი, ეწინააღმდეგება ბუნებას ადამიანისასაო. მას უკან მასაჩუსეტის შტატში გაიმართა „ნაციონალური კონვენტი“ პოლინა დევისის (ქალის) თავმჯდომარეობით. აქ პოლინა დევისმა თავისს გამოჩენილ და ბრწყინვალე სიტყვაში თვალ-ნათლად დაუხატა საზოგადოებას ის აზრი, რომ დედათა უფლების საქმეს და იმის რიგიან დაყენებას ერთობ მტკიცე კავშირი აქვს ქვეყნის ეკონომიურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ რეფორმებთან, რომ პირველის საგნის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე არის დამყარებული მთელის ქვეყნის ბედნიერებაცა და წარმატებაცაო. მას შემდეგაც იმართება მრავალი მიტინგი, სადაც მხნედ თხოულობენ ქალისთვის ყოველ გვარ უფლებას. ამ ჟამად ამერიკელს ქალს აქვს უკვე მიღებული საარჩევანო უფლება საქალაქო საქმეებში. ამ წლის გაზეთებიდგან ვტყობულობთ, რომ კანზასის შტატის ერთს ქალაქში ქალებს ჩაუგდიათ მთლად ხელში ქალაქის მმართველობა და განაგებენ სინიდისიანად ქალაქის საქმეებს. სჩანს, ამერიკელი ქალი მომზადებული ყოფილა საზოგადო მოღვაწეობისათვის.

ჩვენ გავათავეთ პირველი ნაწილი ჩვენის შრომისა, ე. ი. ისტორიული მიმოხილვა, რომელშიაც უნდა გვეჩვენებინა, რომ ქალის მდგომარეობას ისტორიაში ეტყობა თანდათანი წინსვლაო. თუ ნათლად ვერ დავუხატეთ მკითხველს, ცოტათი მაინც ვუჩვენეთ, რომ ცხოვრებასთან ერთად დედათა საქმეც წინ მიდის. შეადარეთ საშუალ საუკუნეთა ქალი, რომელსაც სდევნიდნენ და სწამებდნენ კუდიანობას, ამერიკელ ან ინგლისელ ეხლანდელს ქალსა, რომელიც დღეს თუ ხვალ მიიღებს საარჩევანო უფლებას, და მაშინ ადვილად შეიტყობთ, რომ დედათა უფლების საქმე უქმი არ არის.

ეხლა განვიხილოთ მეორე, არა-ნაკლებ საყურადღებო მოვლენა ისტორიაში. ხალხთა ცხოვრება მოწამეა იმისა, რომ ქალს, მიუხედავად თავისის დაჩაგრულის ყოფა-ცხოვრებისა, არა ერთხელ და ორჯელ გამოუჩენია თავი უმაღლესის განვითარებითა და დამდგარა ერთს წერტილზედ მამაკაცთან. ჯერ კიდევ ძველს რომში მრავალი ქალი იმდენად იყო განათლებული, რამდენადაც-კი შეიძლებოდა მაშინდელს დროში. სემპრონია—ცოლი ბრუტისა, იულია—ცოლი სეპტიმიო სევერისა, ტერენცია—ცოლი ციცერონისა და ტულია—ქალიშვილი ციცერონისა ითვლებოდენ უგანათლებულეს ქალებად თავის დროის შესაფერად. რომაელმა ქალმა უფრო გაითქვა სახელი საექიმო საგნების შესწავლასა და მკურნალობაში. აქ იყო 5 ნაფიცი ექიმი-ქალი (medicae iuratae), რომელთა ვალდებულებასაც შეადგენდა შემოწმება ქალისა ყველა საჭირო შემთხვევაში; გარდა ამისა იყვნენ ნასწავლნი ბებიებიც (obsestrices). ევროპიელმა ქალმა არა ნაკლებ გამოიჩინა თავი სხვა-და სხვა ასპარეზზედ. საშუალ საუკუნეებში, როგორც ზემოდ ვსთქვით, ქალი პირველად გამოვიდა სასცენო ასპარეზზედ. ამიტომაც მან მოჰკიდა ბეჯითად ხელი სიმღერისა და მუსიკის შესწავლას და დაასვა იმათს შემუშავებას თავისებური ბეჭედი. მეცნიერების წინ სვლაშიაც მიიღო ქალმა მონაწილეობა. იტალიაში 1400 წელს ქალს დოროტეა ბუკკას ეჭირა ბოლონის უნივერსიტეტში კათედრა საექიმო საგნებისა და ფილოსოფიისა; ამავე უნივერსიტეტში იყო ანატომიის პროფესორად ანნა მეცოლინი მირანდი (1717—1774). ეს ქალი ითვლებოდა აგრეთვე მრავალ სამეცნიერო საზოგადოების წევრად; მარია მაგდალინი პეტრაჩინი (1759—1791) იყო განთქმული მცოდნე საექიმო საგნებისა. რახელი ფონ-ენზე იყო მწერალი (1771—1833) და ჰქონდა მიწერ-მოწერა თითქმის ყველა მაშინდელ გამოჩენილ მწერალთან. გიოტესი და შილლერის შემოქმედებითის ძალის შემუშავებაზედ ქალებს ერთობ დიდი გავლენა ჰქონდათ. ჩვენს დროშიაც ქალმა არ უმტყუნა მეცნი-

*) იხ. „ივერია“ №№ 91, 92 და 96.

წარმოსთქვა. სადილის დროს მოვიდა ბევრი მისალოცავი წერილები და დეპეშები და ყველა ესენი წაკითხულ იქმნენ და დიდის ტაშით მიღებულ. სადილმა ჩაიარა მხიარულად. ქართული სიმღერა, ქართული „მრავალჟამიერ“ თითქმის არ შეწყვეტილა. სადილს შემდეგ გაიმართა ლეკური.

ცხრა საათზედ წაბრძანდა შინ ყოვლად პატივცემული კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე. დიდის ტაშითა და «ურას» ძახილით გააცილა იგი საზოგადოებამ. მას შემდეგ კიდევ კარგა ხანს არ შეწყვეტილა ლხინი და მხიარულება და მთელს ამ ლხინსა და მხიარულებაში ჩვენის საზოგადოების საყვარელი სახლობა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძისა იქა ბძანდებოდა და სხვებთან ერთად მხიარულებდა.

*** ნუხიდამ, ბ-ნ აპ. ინაშვილ-ივანიცკისაგან მოუვიდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას ორი ლეგენდა და რვა ზღაპარი. ამ რვა ზღაპარში ოთხი, სახელდობრ: „ქოსა-მეჩონგურე“, „დავრიში“, „ქოსა და ქაჩალი“ და „ბერიკაცი“, ინგილოურია, დანარჩენი ოთხი ზღაპარი-კი ბ-ნს ივანიცკის გაუგონია და ჩაუწერია სოფელს შალაურს, თელავის მაზრაში.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უცხადებს ბ-ნს ივანიცკის.

*** სამშაბათს, ღამის 2 საათზე, ციციანოვის აღმართის თავში ჩამოიქცა აივანი და კედლის ცალი მხარე და თან ჩაიტანა ერთი კაცი. კაცს თავი გაუტყდა და იმის მორჩენის იმედი არა აქვთ. ეს სახლი ძალიან ძველია, მდგმურები-კი ჯერაც ისევ შიგა სდგანან. ამ სახლის გვერდზე მრავალია ასეთივე ძველი სახლი.

*** გაზეთები გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად მთავარ-მმართებელს კავკასიისას განსახილველად აქვს თხოვნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა რკინის გზის გაყვანის შესახებ ტფილისიდგან კახეთში და აგრეთვე მეორე თხოვნაც იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობამ იმ წესითვე ისარგებლოს სახელმწიფო მამულებით, როგორც გლეხ-კაცობა სარგებლობსო. გუბერნატორი, რომელმაც ეს ორი თხოვნა წარუდგინა ბ-ნს მთავარ-მმართებელს, თანახმაა თურმე ამ თხოვნათა შესრულებისა.

*** **გორი:** ამ თვის 21 სცენის მოყვარენი აპირებენ წარმოდგენის გამართვას ერთის ღარიბ მოსწავლეს სასარგებლოდ.

*** **სოფ. მლეთი:** ამ თვის ოთხს მლეთში შემოიარა სამრევლო და მართლ-მადიდებელ სარწმუნოების გამავრცელებელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა, მამა ლეონიდმა, რომელიც მიემგზავრებოდა კავკავისაკენ სკოლებისა და ეკკლესიების დასათვალიერებლად. ინსპექტორმა ღამე გაატარა მლეთის სამრევლო სკოლ ის დარბაზში; მეორე დღეს დილით სთხოვა სკოლის მასწავლებელს მღ. ნ. ლეონიძეს სკოლაში შევროვილიყვნენ აგრეთვე გლეხებიც—შეგირდების მამები. რაკი თავად გაიგეს მლეთელებმა ინსპექტორის მოსვლა და აგრეთვე ის, რომ თითონ იგი იწვევდა მათ სკოლაში, ათიოდე კაცმა მოიყარა თავი სკოლის დარბაზში. მამა ლეონიდმა პირველად სალმთო სჯულიდგან გამოსცადა შეგირდები და შემდეგ დანარჩენ საგნებიდგან: შეგირდებმა მეტად მშვენივრად მიუგეს ინსპექტორს პასუხი ყველა კითხვაზე. იმათს მკაფიო და გაბედულს ლაპარაკს მსმენელზე მეტად სასიამოვნო ზედმოქმედება ჰქონდა. ამ ზედ მოქმედებას აძლიერებდა შეგირდების სისუფთავე და ერთ ფერი წითელი ხალათები და მოშავო შალვრები. შეგირდები ყველა თავ-პირ დაბანილი და თავ-გაკრეჭილი იყვნენ და ეს კომ ძალიან იშვიათია ხოლმე სოფლის სკოლებში. მღ. ნ. ლეონიძემ, გარდა ორიოდე შეგირდისა, ოცამდე შეგირდი თითქმის თავის ხარჯით შემოსა ერთ-ფერ ტანისამოსით. მამა ლეონიდი შეგირდების გამოცდით ძალიან კმაყოფილი დარჩა. ძალიან მოეწონა მშვენიერი ნაწერი, მეტადრე ქართული. შემდეგ მოისმინა იმათი ეკკლესიური გალობა. დიდ-მარხვიდგან დაიწყო მღ. ნ. ლეონიძემ და დღემდის შეადგინა შეგირდებისაგან ქართული ხორო, რომელიც ყოველ კვირა-უქმე დღეს ჰგალობს ხოლმე ადგილობრივს ეკკლესიაში. გალობის მოსმენის შემდეგ მიუბრუნდა გლეხებს და გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა მამა ლეონიდმა. მან ნათლად აუხსნა ხალხს, რომ სწავლა-განათლება არის ერთად-ერთი საშუალება, ერთად-ერთი წყარო თქვენის კეთილდღეობისა და სიკეთისა, რომ სწავლა-განათლებას შეუძლიან კაცი გააპატიოსნოს, მისცეს სინიდისი და სახსარი ოფლით ლუკმის მოპოვებისაო. სიტყვა მამა ლეონიდმა ასე დაათავა: „შეხედეთ, ძმანო, თქვენს შვილებს, როგორ მშვენივრად კითხულობენ, როგორის მშვენიერის კილოთი იძლევიან პასუხს და როგორ სუფთად არიან. ჩემს თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ თქვენის შვილების წარმატებას ვხედავ მთაში. ნუ თუ თქვენ არ უნდა გიხაროდეთ თქვენის შვილების ბედნიერება? თქვენ მგონი თქვენს მშობლებზედ უკმაყოფილონი ხართ, ემდურებით, რომ უსწავლელი დაგტოვეს და არ ეცადნენ თქვენ გაკეთილშობილებას. რომ თქვენმა შვილებმაც მომავალში ცუდად არ მოგიხსენიონ და აიცილოთ საყვედური თქვენის შვილებისა, ნუ დაჰზოგავთ მათთვის ნურაფერს, ატარეთ განუწყვეტლივ სკოლაში, ნუ მოაცდენთ სწავლას. მუქთი სკოლა, მასწავლებელი, სასწავლო ნივთები,—ყველა მზად არის, საჭიროა მხოლოდ თქვენი შვილები დაიკლოთ ორს წელიწადს. იმათი სწავლა ბოლოს თქვენვე გაგიტკბებათ“ და სხვ. შემდეგ მიუბრუნდა ბავშვებს და ბავშურის კილოთი მათაც კარგი დარიგება მისცა და დაასაჩუქრა რამდენისამე მანეთით. ბოლოს იქ მყოფთ ყველას დაურიგა პატარ-პატარა ჯვრები. ხალხმა მადლობა მოახსენა ესეთის სწავლა-დარიგებისათვის მამა ლეონიდს. მეორე დღეს ბევრმა ინანა, რატომ ჩვენც არ მოვისმინეთ იმისი ტკბილი სიტყვაო. შეგირდების გამოცდას დაესწრნენ მლეთში შემთხვევით მოსული ქართულის დრუჟინის უფროსი, პოლკოვნიკი ვასილი იოსების ძე რილსკი, და რამდენიმე აფიცერი. დრუჟინის უფროსი თავად თითონ ჰკითხავდა შეგირდებს ლოცვებს და ძალიან გაუკვირდა, რომ იმათ ყველა ლოცვები მშვენივრად იცოდნენ. გენერალმა ტრეიტერმა, რომელიც მეორე დღეს მოვიდა მლეთში, პოლკოვნიკმა რილსკიმ და აფიცრებმა შეგირდები რამდენისამე მანეთით დაასაჩუქრეს.

მამა ლეონიდი იმ დღესვე გაემგზავრა კავკავისაკენ. გზაში დაათვალიერა კობის ეკკლესია, სიონისა, სნოსი და ყაზბეგისა და სამრევლო სკოლის გამართვის შესახებ სოფ. სნოში კარგა ხანი ჰქონდა ბაასი მ ლეონიდს. თუმცა მოხევეები პირველად ცოტა უარზედ იდგნენ, ვითომ-და სიღარიბისა გამო, მაგრამ მაინც ბოლოს ტკბილმა ბაასმა მამა ლეონიდისამ დასძლია მოწინააღმდეგენი და სნოელებმა თანხმობა გამოაცხადეს: შევიკრიბებით როდისმე მთელი მრევლი, ოქმს დავადგენთ და ვეცდებით მოხევეებსაც გვქონდეს სამრევლო სკოლაო. მამა ლეონიდი, ეკკლესიების დათვალიერების დროს, დიდს ყურადღებას აქცევდა ისტორიულ და არხეოლოგიურ ნაშთებს. სამღვდელოებასაც ყველას შესაფერი ძმური დარიგება მისცა. ყაზბეგში იახშმა და ღამის პირველს საათზედ წავიდა კავკავში.

*** **სააბაშიო:** წრევანდელს ზამთარს სააბაშიოელებისათვის სარგებლობის მეტი არაფერი მოუტანია. მართალია, დიდი თოვლი დასდო და საშინელი დიდი ყინვები იდგა, მაგრამ დღე და ღამ რკინის გზის ლიანდაგზე და გვირაბს ახლო-მახლო, საითკენაც ახალი ლიანდაგი კეთდება, გახურებული მუშაობა იყო, დღეში კაცი ოთხ აბაზსა და ერთს მანეთს იღებდა. ეს ამოდენა თოვლი მარტის დამდეგამდე უცბად გაჰქრა და გაწყალდა, ასე რომ მარტის თორმეტს სრულიად მშრალი იყო სააბაშიოში დედამიწა, მხოლოდ მთებიდგან აქა-იქ მოსჩანდა თოვლი. მარტმა სულ კარგისა და სანაქებო დღეებით გაიარა, მაგრამ აპრილმა-კი საქმე გაგვიჭირა სწორედ. პირველ რიცხვიდგან ვიდრე თოთხმეტი შესრულდებოდა, ცუდი ამინდები იდგა, სწვიმდა და თოვლსაც ურევდა. შემდეგ ერთბაშად გამოიდარა, სიცხეები დაიჭირა, გამოგვალ-გააკირკავა სახნავ-სათესი მიწები და ამ ნაირად ხელი შეუშალა მუშა-კაცის ხვნასა და თესვას აპრილმა. ამ მაისის შვიდამდე წვიმა არ გვღირსებია, ეხლა-კი, ღვთით, ცოტ-ცოტა წვიმა მოდის და დაგვიანებულს ხვნასა და თესვას შეუდგა გლეხობაც. უწვიმრობამ ჯეჯილები ძრიელ შეაწუხა და ამიტომ წელს, როგორც ეტყობა, არ უნდა ველოდეთ კარგს პურის მოსავალს. დიდს თოვლსა და ყინვებს სააბაშიოში ვენახებისათვის

---

ერებას და ეხლა ქალი ხშირად არის დაჯილდოვებული სამეცნიერო ხარისხით. მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს: შარშან პარიჟში სორბონმა მისცა სამეცნიერო დიპლომი ქალს, გვარად ლებლუს; შარშანვე სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონს კოვალევსკისას, მათემატიკოსს (რუსეთიდგან არის) პარიჟის აკადემიამ მიუსაჯა პრემია. ამერიკაში მასწავლებელი-ქალი, მწერალი-ქალი, პროფესორი-ქალი ჩვეულებრივი მოვლენაა. აქ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამერიკელმა ქალმა გამოიჩინა თავი ისეთ საქმეში, რომელიც პირველს შეხედულობაზე თითქო უნდა ეუცხოვებოდეს ქალის ბუნებას. ჩვენ ვკითხულობთ შარშანდელ გაზეთებში („ივერია“ № 138), რომ ამერიკაში ქალებს აუღიათ 1900 პატენტი მათ მიერ მოგონილ სხვა-და-სხვა მაშინებზე. ნიუ-იორკში ერთს ქალს—მატერს მოუგონია ტელესკოპი მიწის ქვეშეთისათვის, ქალს ბიზელს—წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანნეის—მაშინა ზღვაში დალუპულ ხომალდების ამოსაღებად, ქალს როზენტალს მოუგონია უკეთესი საკერავი მაშინა, ვიდრე აქამომდე იყო.

უფრო გაითქვა თავი ევროპიელმა ქალმა სიტყვა-კაზმულს ლიტერატურაში. მოვიგონოთ სახელოვანნი ჟორჟ-ზანდი და ჯორჯ-ელიოტი; ამათ იმოდენა ძალა და სიღრმე გამოიჩინეს, რომ ესენი თამამად შეიძლება დაასახელოს ადამიანმა ევროპის უკეთეს მწერლებთან ერთად.

აქვე საჭიროდ ვრაცხთ ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ერთს ფრიად გამოჩენილს ქალზედ. ეს ქალი გახლავთ დანიელი მატილდა ფიბიგერ, რომელიც გარდაიცვალა 1872 წელს. მან გამოსცა კოპენჰაგენში ერთი პატარა წერილებსავით დაწერილი რომანი, რომელმაც აალაპარაკა მთელი დანია, თუმცა ეს ქალი პირველად იყო გამოსული სამწერლო ასპარეზზედ. ამ რომანში მატილდა ფიბიგერმა ისეთის სისრულით დაასურათა დედათა უფლების საქმე, ისეთის ნიჭით დაუხატა საზოგადოებას ქალის გონებრივი, ქონებრივი და ზნეობრივი დაჩაგვრა, რომ რამდენისამე თვის განმავლობაში დიდი აყალმაყალი იყო ამ რომანის გამო საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთობაში. ეს ქალი თხოულობდა ქალთა ემანსიპაციას, როგორც საფუძველს ბედნიერის ცხოვრებისას. იმისი ხმა არ დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. ამ ქალს დანიაში სამართლიანად უძახიან დედას „დედათა უფლების საქმისას“. თუ ქალების საქმემ მიიქცია ყურადღება მთელის ქვეყნისა, თუ კანონმა მისცა ქალს შეღავათი, მიანიჭა ზოგიერთი უფლება და საზოგადოებაში დაიბადა ჭეშმარიტი აზრი ქალების შესახებ, ამაში დედათა უფლების საქმე დანიაში დიდად დავალებულია მატილდა ფიბაგერისაგან.

ჩვენ არ მოვიყვანეთ მთელი სია გამოჩენილის ქალებისა ისტორიაში და არც საჭირო იყო, ჩვენის აზრით; ჩვენის უნდა გვეჩვენებინა მხოლოდ, რომ ყოველ ხანას ისტორიისას წამოუყენებია რითიმე გამოჩენილნი ქალნი, რომელნიც არ ჩამოუვარდებოდნენ მამაკაცს გონების მაღალის განვითარებით. ერთი მაგალითი იქნება მოყვანილი, თუ ათი, ჩვენის ფიქრით, სულ ერთია, აქ დასახელებული მაგალითებიც საკმარისად გვიხატავენ, თუ რის შემძლებელი ყოფილა ბუნება ქალისა.

ჩვენ გვგონია, რომ ყოველ ზემოდ ნათქვამიდგან შეგვიძლიან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ქალს არა უშლის-რა დაიჭიროს კაცთა ცხოვრებაში ნამდვილი ადამიანური ადგილი. არც იმის ბუნებაში, არც იმის ისტორიაში არა ვხედავთ იმ აზრის დამტკიცებას, ვითომ ქალი იყოს უფრო მდაბალი არსება, ვიდრე მამაკაცი; ვითომ იმას ეუცხოვებოდეს ის უფლება, რა უფლებაც აქვს მინიჭებული მამაკაცს; პირ-იქით, ისტორია ამ აზრის სიცრუეს გვიმტკიცებს. რაც უფრო მალე შეიგნებს კაცობრიობა დედათა უფლების საქმის ვითარებას, რაც უფრო ჩქარა დაემორჩილება იგი დროსა და ჟამის მოთხოვნილებას და აღმოუჩენს ქალს ყოველსავე ღონისძიებას სულისა და გონების ამაღლებისას, მით უფრო ბედნიერად იცხოვრებს იგი და უფრო სწრაფის ნაბიჯით ივლის წარმატების გზაზედ. „ზნეობრივი და გონებრივი წარმატება მამაკაცებისაო, ამბობს სამართლიანად ფრიად გამოჩენილი მეცნიერი ჯონ სტუარტ-მილლი: თუ არ წავა უკან-უკან, შეფერხდება მაინც საგრძნობლად, თუ ვინიცობაა ქალთა გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მეტად შეხუთული იქმნაო“. ამიტომაც ქალის ყოფა ცხოვრებას უნდა მიექცეს საზოგადოდ ჯეროვანი ყურადღება. ქალს ჩვენ შევხვდებით ცხოვრების ორ დიდს სფერაში: ჯერ მას ვიცნობთ ვითარცა წევრს ოჯახისას, მეორეთ როგორც წევრს საზოგადოებისას. ქალი ვერ გაუწევს სამსახურს ვერც ერთს, ვერც მეორეს, თუ არ იქნება აღჭურვილი მაღალის განათლებით და არ ექნება ნამდვილი ადამიანური უფლება. ჯერ შევეხოთ ქალს, როგორც წევრს ოჯახისას. ყველამ კარგად ვიცით, რა გავლენაც აქვს დედას შვილების მოვლასა, აღზრდასა და იმათის ხასიათის შემუშავებაზე. ნუ თუ სანატრელი არ არის, რომ დედა იყოს განათლებული და იცოდეს, რა მოუხდება და რა ავნებს ჩვილს ბავშვს, იცოდეს საგიგიენო წესები. მერე როცა ბავშვი ცოტა მოიზრდება და გაეღვიძება ცნობის-მოყვარეობა, რითი უნდა დაუკმაყოფილოს დედამ თავისს შვილს ეს ცნობის-მოყვარეობა, თუ-კი თითონ გაუნათლებელი იქნება? დედა ჰზრდის მომავალს მამულიშვილს, იმის აღზრდაზე არის თავდაპირველად დამოკიდებული მომავალ მოღვაწეთა ასეთი თუ ისეთი ზნე, ასეთი თუ ისეთი ხასიათი და მიდრეკილება. როგორ აღსრულდება და განხორციელდება ჩვენი პოეტის სურვილი მიმართული დედისადმი:

ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინა ჰქონდეს ჭეშმარიტება
და უკან კვალი განათლებული,

თუ თითონ დედა სიბნელეში იმყოფება? ეხლა რამდენისამე სიტყვით შევეხოთ ქალს, როგორც წევრს საზოგადოებისას. მართალია, ქალს იურიდიულად ბევრგან არ გაუვა ხმა, მაგრამ ვერავინ უარ-ჰყოფს, რომ ქალს ერთობ დიდი გავლენა აქვს საზოგადო საქმეთა მიმდინარეობაზე, იგი ძალიან ხშირად ამჩნევს თავისებურს ბეჭედს ამა თუ იმ ზოგადს საქმეს, მამები, ძმები, ქმრები თავის ოჯახებში არიან ხშირად თავის ქალების, დების, ცოლების გავლენის ქვეშ, და რა გასაკვირველია, რომ ამის მიხედვით საქმეც იღებდეს ასეთს თუ ისეთს მიმართულებას. ჩვენ გვგონია, საქმე უკეთესად იქნებოდა მოწყობილი, რომ ქალი თითონვე ყოფილიყო მომზადებული საზოგადო მოღვაწეობისათვის და ჰქონოდა უფლება ხმის ამოღებისა. ერთის სიტყვით, ოჯახობასაცა და საზოგადოებასაც მხოლოდ მაშინ დაეტყობა საგრძნობელი წარმატება, როდესაც ქალი არ იქნება მოკლებული ადამიანურს უფლებას და როდესაც მამაკაცთან მხარ და მხარ ჩაებმება წარმატების უღელში.

მ. ვ—შვილი

ქ. მოსკოვი

ვერაფერი დაუკლია, მხოლოდ აქა-იქ რაღაც ჭია უჩნდება ხოლმე გაზაფხულზედ აქაურს ვენახებს და აჭკნობს და ახმობს ვაზს. ზარალი, როგორც შევამჩნიე, ორი-სამი პროცენტი უნდა იყოს. დანარჩენს ვაზებს ყველა ვენახებში ჩინებულად ასხია და თუ ამ მაისსა და თიბათვეში კარგი თბილი ამინდი და მოწმენდილი ცა დაუჭირა, სანაქებო მოსავალი უნდა მოვიდეს ღვინისა

*** იქიდამვე: აღდგომის მეორე დღეს სამწუხარო ამბავი მოხდა საბაშიოში, სახელდობრ ნებოძირ-ბექათუბნის დუქნებში. ამ დუქნებში ბევრი სხვა-და სხვა რჯულის ხალხი დგას. ეს ხალხი დუქნების სიახლოვეს ახალის ლიანდაგისათვის ქვებს ამტვრევს და ბოკირებს აშენებს. მათ შორის მომეტებული ნაწილი ბერძნებია, რომლებიც აღდგომა დღეს საშინლად დამთვრალან, მოსვლიათ ჩხუბი და ერთი-ერთმანეთს დარევიან. ჩხუბში ზოგს კეტები და ჯოხები სჭერიათ და ზოგსაც რაღაც პატარა რკინები. რკინით ერთ საწყალ ბერძნისათვის, სახელდობრ კონსტანტინე ფულოვისათვის, შუბლი გაუხეთქიათ და საწყალს საღამოზედ სული განუტევებია. გამოძიების შემდეგ დაამპატიმრეს ოთხი კაცი და წაიყვანეს დ. ზესტაფონში. ახლა, როგორც ამბობენ, სამი მათგანი განუთავისუფლებიათ და ერთი მკვლელად უცვნიათ. ზოგს ბერძენს ხელები და თავ-პირი დაშავებია და ჯერ ჯერობით უმუშაოდ სცდებიან.

## ზემო-ქართლელ დედაკაცის საკუთრება გლეხ-კაცის ოჯახში.

ქალი რომ შეღერდება გლეხ-კაცის ოჯახში, მაშინვე გაუჩნდებიან მთხოვნელები. თუნდა რომ ლამაზიც არ იყოს და იმისთანა სიმახინჯეც ჰქონდეს, როგორიც სიკოჭლე და ელმობაა, მაინც გლეხის გოგო არ დარჩება გაუთხოვრად ჩვიდმეტ-თვრამეტ წელს ზემოდ. რასაკვირველია, ლამაზს უფრო ბევრი და უფრო შეძლებელი გლეხ-კაცი ეღირება და გონჯს უფრო ნაკლები მთხოვნელი ჰყავს და უფრო ხელ-მოკლე გლეხი ეტანება. ლამაზის ქალის დედ-მამა არჩევს საქმროს, ფასს სდებს იმის ვაჟკაცობას, იმის ოჯახის მოწყობილებას და სასიძოს სოფლის ჰავასა და მდებარეობასაც არა სტოვებს შეუნიშნავად. მოსატან ფულს სასიძოს ოჯახს მაღლა უკიდებს, გონჯისა-კი ამაებს არ დაგიდევს, ოღონდაც-კი თავიდამ მოიშოროს გასათხოვრად შეღერებული გოგო, რომელიც ოჯახს წმინდა მოვალეობად მიაჩნია უთუოდ „გააბედნიეროს“, თუნდა ეს გაბედნიერება იმაშიაც იყოს, რომ ცარიელის მჭადისა და ცივის წყლის მეტი არა გააჩნდეს-რა მომავალ სასიძოს ოჯახს. ასე, ლამაზი ქალი მრავალ გვარ უპირატესობას ეწევა ცხოვრებაში: ჯერ ერთი, რომ რიგიან თვალ-ტანად ბიჭს მისდევს, მეორე ისა, რომ სავსე ოჯახში შედის, და, ამას გარდა, საქმროს მიერ მოტანილ ფულიდგან ერთი ნაწილი ფულისა მზითევად მიაქვს თავისს მომავალს ოჯახში.

ა) პირველი საკუთრება დედაკაცისა გლეხის ოჯახში შესდგება იმ მზითვად გატანებულ ფულიდგან. თუმცა ეს ფული საქმროს მოტანილია, მაგრამ, რადგანაც ქალის მშობლები ქორწილს წინად შეკრულის პირობით თავისს ქალს უკანვე ატანენ ფულის ერთს ნაწილს (მეორე ნაწილით უკეთავენ მზითევს), ეს ფული შეადგენს იმის ხელ-უხლებელს საკუთრებას. ქალს ეს ფული შეუძლიან გასცეს, ასარგებლოს თავის საკუთარის სახელით.

ბ) მეორე საკუთრებას დედაკაცისას შეადგენს ნიშანი, ანუ ბელგა, პირი-სანახავი და შაბაში.

გ) მესამე საკუთრებას დედაკაცისას შეადგენს ის ძროხა, რომელიც დედამ უნდა უფეშქეშოს, როდესაც იმას წლი-ნაწვევად მოიყვანს თავისს ოჯახში და პირველ შვილზედ მოალოგინებს. ამ ძროხის ნაშენსა და ნაწველს დედაკაცი ჰყიდის და თავის გაცემულ თანხას უმატებს.

შემდეგ დედაკაცსა აქვს კიდევ ერთი ყოველ-წლიური შესავალი—კრუნჩხის პური *) და ქერის ნაბოლარი. ამ პურსა და ქერს დედაკაცი ჰყიდის, ან[redacted]ევროდ უთესავს მეზობელს და ერთი-ორად ათავნებს. ყოველივე ეს ხელ-შეუხებელი საკუთრებაა დედაკაცისა. „დედაკაცის მზითევს ვერც ცეცხლი დასწვავს, ვერც ქარი წაიღებსო“, ამბობს ხალხი.

დედის შემდეგ ეს საკუთრება გადადის შვილებზედ. თუ ოჯახში რამდენიმე ძმაა და გაიყარნენ, დედის საკუთრებას მხოლოდ შვილებს არგუნებენ და გაყრაში ამ საკუთრებას წილი არ დაედება. მაგალითად, შეიძლება, რომ ერთის ძმის ცოლს ოცი თუმანი ჰქონდეს გაცემული. ძმების გაყრის დროს, თუნდა საოჯახოდ ბევრი ვალიც იყოს აღებული, ეს ოცი თუმანი ამ შემთხვევაშიაც ხელ-უხლებელი რჩება და საოჯახო საკუთრებად არ ჩაითვლება.

დედაკაცი ამ თავისს საკუთრებას უფრო არჩევს გარეშე კაცს დაავალოს და თუ ოჯახი ძრიელ ჰსაჭიროებს და ისესხებს, აუცილებლივ უნდა დაუბრუნოს და უბრუნებს კიდეც ყოველის უარის უთქმელად, თუ, რასაკვირველია, ოჯახი მეტად გლახა და უსავანო არ არის. ოჯახში თუ რამდენიმე რძალია, ყველას თავისი საკუთრება განსაზღვრული აქვს. დედაკაცი თუ უშვილოდ კვდება, მშობლებს შეუძლიანთ დაიბრუნონ იმისი დანარჩენი, მაგრამ ეს ძრიელ იშვიათად მოჰხდება ხოლმე. ხშირად ქალის პატრონი არა კადრულობს მზითევის უკან წაღებას და მაშინ საძე ხდება ამ საკუთრების პატრონი და არა მთელი ოჯახი.

თუ რამდენად ხელ-უხლებელია დედაკაცის საკუთრება გლეხ-კაცის ოჯახში, რომელშიაც რამდენიმე ძმა ერთად სცხოვრებს (მარტო-ხელის კაცის ცოლს ეს ჩვეულება არ შეეხება), ამის მაგალითი მე შარშან ვნახე: ერთი კომლი გლეხი მთლად გადაიწვა, წლის სარჩო სრულიად მოესპო, საქონელი, ეს ერთად-ერთი წყარო გლეხ-კაცის ცხოვრებისა, გაჰყიდეს და ამითი შეიძინეს წლის გამოსაკვები საზრდო.

ამ გაჭირებულს მდგომარეობაში ერთის ძმის ქალს გამოუჩნდა მთხოვარი. სასიძო სახარბიელო იყო, უარი ვერ უთხრეს და ქორწილი მოჰხდა. საპატარძლოს დედას დარჩენოდა ათი თუმანი, მისესხებული თავის ოჯახზე. ეხლა გოგოს გათხოვებისთვის საჭირო იყო, რომ ეს მემკვიდრეობა გადასცემოდა მემკვიდრეს (აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ დედის მემკვიდრეობას, თუ მცირეა, ხშირად ჩვეულება უფრო ქალიშვილს აკუთვნებს ხოლმე, და თუ ბლომად არის საკუთრება, თანასწორად იყოფა ვაჟებსა და ქალებს შუა).

ოჯახისათვის დღეს ათის თუმნის გადახდა ყოვლად შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ ქალის ძმამ, დარბაისელმა გლეხმა, ასასრულებლად ამ თავისის მოვალეობისა, უკადრისი იკადრა და მამასახლისის მოწმობით ხელში, რომ ეს კაცი გადაიწვა და შეიწყნარეთო, გაუდგა შარა-გზას, ხელი გაიწვდინა, ფული მოაგროვა და გადასცა პატრონს მისი საკუთრება, თუმცა სიძის მხრივ არავითარი ძალ-დატანება და საყვედური არა ყოფილა ცოლის მემკვიდრეობის დასაცველად.

ევ. გაბაშვილისა

*) კრუნჩხს ეძახიან ქართლში იმ გაულეწავ თავთავს, რომელიც განიავებასა და გაცხრილვას შემდეგ კალოზე რჩება. ამ ნარჩენს დედაკაცები აგროვებენ ცალკე და კალოს დასრულების შემდეგ თავისთვის ჰლეწვენ.

# უცხოეთი

საფრანგეთი. გაჩაღდა მსოფლიო გამოფენის საქმე პარიჟში. პირველს დღეს მოჰყვა მეორე, მესამე, გავიდა კვირა და აგერ მეორეც მიდის. არამც თუ უცხოეთიდამ მოსულნი, თვით ფრანგნი, თვით პარიჟელნიც-კი გაკვირვებულნი არიან თავიანთის გამოფენით: უკვირთ, ეს რა მოხერხდა, ეს რა საოცარი და საკვირველი საქმე გაკეთდაო. მართლაც და, პირველს სამს დღეს პარიჟში ისეთი ამბები იყო, რომ კაცს ეგონებოდა ცხადად-კი არა ვხედავ ამ ამბებს, სიზმარში თუ ვარო; ეგონებოდა, რომ ყოველივე, რაც გარშემო ხდებოდა, ზღაპარია, ზმანებაა, ოცნებააო. ვისაც არა სჯეროდა გამოფენის საქმე, ვინც უგულოდ ეძცეოდა ამ დიდს დღესასწაულს, რომელსაც ეხლა „მშვიდობისა და წარმატების დღესასწაულს“ უწოდებენ, ახლა მზად არის თავი დასდოს მისთვის, ახლა თავ-მოსაწონებლადა აქვს, ამაყობს გამოფენით და იმის წინაამდეგ ხმას, კრინტს არავის არ აღებინებს, არავის არ შეუძლიან სთქვას, რომ გამოფენას ნაკლებულება აქვს, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, ან ეს არ უნდა გაკეთებულიყოვო. ამისთანას შესჭამენ ეხლა ფრანგები, ისე მოსწონთ, ისე ალტაცებით შეჰყურებენ ამ გამოფენას. მონარხიის მომხრენი ხმა-გაკმენდილნი არიან; ბულანჟეს მოთაყვანენი იძულებულნი არიან ალტაცებით ილაპარაკონ გამოფენის შესახებ, თუმცა გულში-კი ეწინააღმდეგებიან. პარიჟელები იძახიან ახლა, რომ სახელი ალფონისა, რომელმაც ასე მოაწყო და მოახერხა გამოფენა, უნდა დავარქვათ ერთს დიდს ქუჩას პარიჟისასაო. ეიფელის სახელი ხომ ყველას პირზე აკერია. იმის კოშკის გამო კინაღამ ერთი ვაი-ვაგლახი არ ატყდა კიდეც. საქმე ის არის, რომ ყველა ვაჭარსა და მრეწველ მექარხნეს უნდოდა ამ კოშკის სურათი დაეხატა თავის ნაკეთებს ნაწარმოებზე და ისე გაეყიდნა, მაგრამ ამის ნებას არ იძლეოდნენ ისინი, ვისაც წინადვე ეყიდნა ამის უფლება ეიფელისაგან. ბოლოს ამ დავიდარაბაში ჩაერია ქალაქის თვით-მმართველობა და ყველას მისცა ნება, რაზედაც უნდათ, დახატონ ეიფელის კოშკის სურათი და ჰყიდონ ყველგანაო.

გამოფენის გამო პარიჟში იმოდენა ხალხი დაზღვაედა, რომ ძალიან გაძვირდა ცხოვრება შუა-გულს უბნებში. სასმელ-საჭმელი და ყოველ გვარი სანოვაგე ერთი-ორად უფრო ძვირად იყიდება. მუშები ცოტა არ იყოს ფიცხობენ, რაკი ცხოვრება ძვირდება და წვრილმანი მექარხნე-მრეწველნი ხელ-ფასს არ უმატებენ. ფრანგებს ეს გარემოება ძალიან აწუხებთ, მაგრამ ისე არიან დამთვრალნი ალტაცებით, რომ ყურს არ იბერტყავენ. აწუხებთ აგრეთვე ისიც, რომ უცხოელთა სიმრავლემ ლამის ჩრდილში დააყენოს თვით ფრანგნი, რომელნიც პირველობას ველარა სწევენ თავიანთ მშობელს ქალაქში, საცა მდიდარი ახლად-მისული უცხოელობა ჩეჩქივით ჰფანტავს ფულს და ყველგან პირველს ალაგას არის გამოჭიმული. სამაგიეროდ ჯიბგირებითაც-კი საკმაოდ აივსო ეხლა პარიჟი. ჯიბის ოსტატები მისულან პარიჟში ევროპიდამაც და ამერიკიდამაც, მაგრამ პოლიცია გაფაციცებით იქცევა და იმათი ოსტატობა ვერა სჭრის თურმე.

გამოფენის მეორე-მესამე დღეს ქალაქმა დიდი სადილი გამართა და მიიწვია ყველა წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოთა, უცხოეთიდამ ჩასულ სტუმართა. სადილი გაშლილი იყო 600 კაცისათვის. დაესწრო სადილად პრეზიდენტი კარნოცა. როცა სტუმრები აღდეგრძელა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ შოტანმა და ბოლოს კარნოს სადღეგრძელოც დალია, პრეზიდენტმა სთქვა პასუხად შემდეგი:

„გმადლობთ სადღეგრძელოსათვის; გმადლობთ, რომ მომიწვიეთ ამ სასიამოვნო დღესასწაულზე და ამით შემაძლებინეთ სალამი მომეცა და მადლობა გადამეხადნა თქვენთან ერთად ყველა ჩვენის სტუმრებისათვის და იმათთვისაც, ვინც შეეწია გამოფენის საქმეს. ამ შემწეთა შორის ერთია, რომლის მადლობელნიც უნდა ვიყვნეთ უმეტესად. ეს შემწეა პარიჟი, რომლის წარმომადგენელიც თქვენა ბრძანდებით და რომლის მადლობელნიც უნდა ვიყვნეთ, რომ გამოფენა ასე კარგად მოხერხდა. ეს შემწეა ის საკვირველი ქალაქი, რომლითაც ნება გვაქვს სამართლიანად თავი მოვიწონოთ, ის მომუშავე სკაა, რომელიც უნაყოფოს არას არ მისდევს და მშვიდობიანს მუშაობაზე არას დროს ხელს არ აიღებს, ის გაბრწყინვალებული კერაა, რომელსაც შემოსცქერის ამ ჟამად მთელი ქვეყნიერობა, ის სამშობლო ხელოვნებისა და გამოგონებისა, რომელსაც ყველა ეტანება, როგორც გამაცოცხლებელს წყაროს. პარიჟმა ბევრი იღვაწა გამოფენისათვის და მის ქველსა და მუდამ პირ-მცინარე ერს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ასეთის ამბით გადიხადა ასის წლის დღესასწაული ჩვენის წარსულის დიდებისა. მისი საქმე ჯერ არ გათავებულა, მაგრამ რაც დარჩა გასაკეთებელი, ადვილია ამ სტუმართ-მოყვარე ქალაქისათვის. აქ ყველა იპოვის იმ გულწრფელსა და უხვს მასპინძლობას, რომელმაც ასე მალე გადააქცია ახალ სამშობლოდ პარიჟი უცხოელთათვის. უცხოელნი ისე არ დაგვტოვებენ, რომ არ დარწმუნდნენ: საფრანგეთი მხნეობს და მუშაობს მთელის ქვეყნიერობის მშვიდობისა და ყველა ერთა ძმობისათვის. საფრანგეთის სახელით ვსვამ პარიჟის სადღეგრძელოს!“

## მილიონები

წერილები დე-ვარინიისა

### I

უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ინგლისი, თავისისავე სამწუხაროდ, აუარებელის სიმდიდრისა და მეტისმეტ სიღატაკის ქვეყნად არის ცნობილი. ამ ქვეყანაში მილიონების პატრონნი ეხლაც ბევრია, ხოლო ცალკე შეძლებულნი ადამიანნი, სიმდიდრის რაოდენობით რომ ვიანგარიშოთ, ამერიკაში უფრო ბევრია, ვიდრე ინგლისში.

„Times“-ი ამბობს, რომ ინგლისს ათის წლის განმავლობაში გარდაიცვალა თვრამეტი კაცი და ყოველმა მათგანმა მილიონ გირვანქა სტერლინგზედ*) მეტი დასტოვაო. ამას გარდა გარდაიცვალა ოცდა-ოთხი კაცი კიდევ ისეთი, რომლებსაც მილიონ გირვანქა სტერლინგამდე დარჩათო. თუ მხედველობაში ვიქონიეთ, რომ სამკვიდროს რიცხვს უკლებენ, რადგან სამკვიდროზედ სახელმწიფო გადასახადის დანიშნული, დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ათის წლის განმავლობაში ინგლისის შეძლებულ გარდაცვალებულთ დასტოვეს ორმოც-და-ორი სამკვიდრო ქონება და თითო 12.500,000 მან. აღემატებოდა.

ქვემოდ მოყვანილ სიაში მოხსენებული გვარები, გარდა ბარონ როტშილდისა და ორის ინგლისელ არისტოკრატისა—ჰერცოგ პორტლენდისა, რომელმაც სიკვდილს შემდეგ 38 მილიონი დასტოვა, და გრაფ დეისარისა, 40 მილიონის დამტოვებლისა, დანარჩენი გვარები გამდიდრებულ ბურჟუებს ეკუთვნის. მაგალითებრ, მ. ვილიამსი, კორნვალიის საგრაფოსი, 40 მილიონის დამტოვებელი, ლივერპულელი მ. გლადსტი—50 მილიონისა, ლონდონელი მ. ბერინგი—38 მილიონისა. საზოგადოდ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა ვაჭარნი და მრეწველნი უფრო შეძლებულნი არიან, ვიდრე ინგლისის არისტოკრატნი. ხოლო ეს ინგლისის შეძლებულნი ვაჭარ-მრეწველნიც ვერ შეედრებიან ეხლა ამერიკის ზოგიერთ მდიდრებთ. ამ მხრით ძალიან საინტერესოა ამას წინად ლონდონში გამოსული წიგნი „Sir Bits offices“, რომელშიაც დასახელებულია თორმეტი შეძლებული კაცი, ყველაზედ მდიდარი დედამიწის ზურგზედ. ამათში ხუთი ინგლისელია და შვიდი ამერიკელი. აი ეს საყურადღებო სია:

| სახელები | ეროვნება | შეძლება ფრანკი | წლიური შემოსავ. ფრანკი |
|---|---|---|---|
| ჯეი გულდი | ამერ. | 1.375.000,000 | 70.000,000 |
| დ. ჰ. მაკეი | „ | 1.250.000,000 | 62.500,000 |
| როტშილდი | ინგ. | 1.000.000,000 | 50.000,000 |
| ჰ. ვანდერბილტი | ამერ. | 625.000,000 | 31.250,000 |
| დ. პ. ჯონსი | „ | 500.000,000 | 25.000,000 |
| ჰერცოგი ვესტმინსტერისა | ინგ. | 400.000,000 | 20.000,000 |
| ჯონ ასტორი | ამერ. | 250.000,000 | 12.500,000 |
| ა. ტ. სტიუარტი | „ | 200.000,000 | 10.000,000 |
| დ. ჰ. ბენეტი | „ | 150.000,000 | 7.500,000 |
| ჰერც. სუტერლენდისა | ინგ. | 150.000,000 | 7.500,000 |
| ჰერც. ნორტუმბერლენდისა | „ | 125.000,000 | 6.250,000 |
| მარკიზ ლე-ბიუტი | „ | 100.000,000 | 5.000,000 |

ამ პირველ ხარისხოვან შეძლებულთა გარდა, ბევრია აგრეთვე სხვა მდიდარიც, თუნდა მარტო ისეთიც რომ ჩავსთვალოთ შეძლებულად, რომელსაც ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგზედ ნაკლები აღარა აქვს. იმავ წიგნში, რომლიდგანაც ზემოხსენებული ცნობები ამოვკრიბეთ, დასახელებულია 700 ამისთანა კაცი. ამ 700-ში აი რამდენ მილიონ გირვანქა სტერლინგის პატრონი რომელს ქვეყანაში სცხოვრებს:

| | |
|---|---|
| ინგლისში | 200 კაცი. |
| შეერთებულს შტატ. | 100 „ |
| საფრანგეთს | 75 „ |
| რუსეთს | 50 „ |
| გერმანიასა და ავსტრი-უნგრიას | 100 „ |
| ინდოეთში | 50 „ |
| სხვა-და-სხვა ქვეყნებში | 125 „ |

ზემოდ მოყვანილნი რიცხვნი, რასაკვირველია, დაახლოვებით არის ნაანგარიშევი. ძალიან ძნელია რომლისამე ადამიანის სიმდიდრის შეტყობა, რადგან ზოგიერთნი სიცოცხლის დროს თავისს

*) ეხლანდელის კურსით გირვანქა სტერლინგი ჰქონს ცხრა მანეთ და ათ შაურამდე დაფრანკი—ცხრა შაურამდე.

შემდებს ახვიადებენ, და სიკვდილს შემდეგ-კი მისნი მემკვიდრენი ამცირებენ, რადგან სახელმწიფო გადასახადი უნდა გამოურთვათ. ამას გარდა, თითქმის უველა მილიონის პატრონი თავ-დაჭერილი კაცია, და ძნელიც არის კაცმა თავისის შემლების რაოდენობა იცოდეს, როდესაც ათას ნაირი ფასიანი ქაღალდები აქვს და ამ ქაღალდების ფასი ბირჟის ყინიანობაზეა დამოკიდებული.

# დეპეშა

8 მაისი

**ბოხუმი.** მუშების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს, რომ სამწუხაროდ უნდა მივიჩნიოთ ის უსიამოვნება, რომელიც გამოიწვია მთა-მადნების პატრონების მართველობაში კომისიის შედგენამ მუშებისაგანაო, თუმცა იმპერატორ ვილჰელმის მშვენიერმა სიტყვებმა გვანუგეშა, მაინც თუ ორის თვეის განმაელობაში მუშების პირობა არ შესრულდა, კვლავ პირს შევკრავთ და მუშაობაზე ხელს ავიღებთო.

**პარიჟი.** ლომბარდიაში ახლად დაიწყო საადგილ-მამულო უწესოებანი. კორმეტში ჩხუბი მოუვიდათ ჟანდარმებსა და გლეხ-კაცებს. ამ ჩხუბში ერთი გლეხ-კაცი მოკვდა და სამი დაიჭრა.

9 მაისი

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩი დაინიშნა მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტად.

უკანასკნელ ხანებში რუსული ჟურნალ-გაზეთობა, და მეტადრე „Москов. Вѣд.“-ი, ჰბეჭდავდა წერილებს ფინლიანდიისა და იქაურ მთავრობის შესახებ. ახლა ამ წერილების გამო გენერალ გუბერნატორი დიდის სამთავროსი, როგორც თავმჯდომარე ფინლანდიის საიმპერატორო სენატისა, სწერს თავისს უქვეშევრდომილესს მოხსენებაში, რომ შესაწყნარებელი არ არის ჟურნალ-გაზეთების ლაპარაკი ფინლიანდიის სენატის გამოვო, ვითომ სენატი ბოროტად ჰხმარობდეს უმაღლესის მანიფესტის გამოცემის ნებასა და საზოგადოდ უკანონოდ განაგებდეს ქვეყანასაო. გამგეობა ქვეყნისა ისე სწარმოებს, როგორც კანონი მოითხოვს. მართალი არ არის ისიც, ვითომ სენატი უკანასკნელს ძალ ღონეს აცლიდეს მდაბიო ხალხსა. ნამდვილად ხარჯი და ბეგარა ეხლა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ყოფილა ოდესმე. ამასთანავე ერს ყოველთვის უპოვია მფარველობა კანონებისა, თუ-კი ბოროტ-მოქმედებას ძალა დაუტანებია, და მთავრობაც დაუსჯელად არა სტოვებს მოხელეთა უკანონო საქციელს. მართალი არ არის ისიცა, რომ ვითომ მხოლოდ მცირეოდენს მოხელეობას აქვს სწავლა გათავებული უნივერსიტეტებში. რაიცა შეეხება ერობათა მოხელეებს, ისინი ყველასაგან დიდად პატივცემულნი არიანო.

**მოსკოვი.** დღეს, ნაშუადღევის 2 1/2 საათზე, შაჰი სპარსეთისა მოვიდა მოსკოვში. შაჰს მიეგება გენერალ-გუბერნატორი, ჯარების უფროსი, გენერლობა და წარმომადგენელნი ქალაქისა და წოდებისანი. ქალაქის თავმა მიართვა პურ მარილი ხისაგან ნახარატევის ტაბაკით. შაჰი სადილად დღეს გენერალ გუბერნატორთან იყო და საღამოზე დიდს თეატრში დაესწრობა საპარადო წარმოდგენას.

**ბერლინი.** იტალიის მეფე მოვიდა ს.-გოტრელის გვირაბით შვეიცარიის გოშენენში. საუზმის დროს პრეზიდენტი მიესალმა მეფესა და მემკვიდრე პრინცს. საუზმეს შემდეგ მეფე გაზელ ზედ წაბრძანდა ბერლინს.

**პარიჟი.** საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, რომ იტალიის მეფის ბერლინში წასვლას შედეგად ის მოჰყვება, რომ იტალიას სამხედრო ხარჯი მოემატებაო.

**ათინა.** აქ მოსული დეპეშები გვაუწყებენ, რომ მაკედონიაში არეულობაა და შეიძლება ნოვო-ბაზარის სანჯაყი ავსტრიის ჯარმა დაიჭიროსო.

**ბერლინი.** იტალიის მეფე ჰუმბერტო და მემკვიდრე პრინცი მოვიდნენ დღე აქა და მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ თვით იმპერატორი, ყველა პრინცები, იმპერიის კანცლერი, ყველა მინისტრები და გენერლობა. სადღესასწაულოდ მორთული ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელიც დიდის სიამოვნებით ეგებებოდა იტალიის მეფეს.

10 მაისი

**პეტერბურგი.** „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩი პირველად მიბრძანდა სახელმწიფო საბჭოში და, თავ-მჯდომრის სალამს შემდეგ, დაიჭირა თავისი ადგილი.

გაზეთი „Новости“ იუწყება, რომ განზრახვა აქვთ გზათა სამინისტროსი საბჭო გაჰყონ ორად: სატეხნიკო და საადმინისტრაციო განყოფილებად. პირველის თავ-მჯომარედ ინიშნება კერბეძი, ხოლო მეორისა—გენერალი სერებრიაკოვი. რკინის გზათა საბჭოში თავმჯდომარედ იქნება გზათა მინისტრის ამხანაგი ევრეინოვი. სატეხნიკო განყოფილება უნდა განახლდეს და შეივსოს ახალის წევრებითა, როგორც გზათა სამინისტროს აგრეთვე სხვა უწყებათა მხრით.

პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისი

| | მოთხოვნილება. | გამოყიდვა. | გაყიდულა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 1/2 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148 87 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 271 1/4 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 245 1/4 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 1/2 | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3 1/2 | „ |
| ჯვარის მამის პურის ღვავში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან. (52—15)




სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში. (10—9)


კავკასიის გამოფენის წესისამებრ, ვისაც უნდა ფაბრიკისა და ქარხნის ნაწარმოების გამოფენა, თავიანთ ნაწარმოებისათვის საკუთარის ხარჯით უნდა გამართონ სადგური და უნდა გადაიხადონ ადგილის ქირა, რომელსაც გამოფენის კომიტეტი ჰნიშნავს. გამგე კომიტეტი, რათა საქმე გაუადვილოს ექსპონენტებს, ერთს საერთო პავილიონს გაჰმართავს იმათთვის, ვინც საკუთარის სადგურის აშენებას არ მოისურვებს, ხოლო იმ პირობით-კი, რომ თითო ოთხ-კუთხ საჟენ ადგილისათვის სამ-სამი თუმანი გადაიხადონ ექსპონენტებმა (აქ ნაანგარიშევი არ არის ვიტრინებისა, ეტაჟერკებისა და სხვათა ქირა; ესენი ექსპონენტებმა თავიანთის ხარჯით უნდა გამართონ). ექსპონენტებმა განცხადება უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 15 ივნისისა. (1—1)


წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| ხრობა ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ჭყონიაშვილის გამოც. . . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ჭყონიაშვილის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |

გამოვიდა და იყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში



შედგენილი

მიხეილ ზაალის ძის ყიფიანისაგან.

ფასი 40 კაპ.



# ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ




СЕРЕБРЯНАЯ

А. А.




ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—3) ა. თუთაევი


Доз. ценз. Тифлисъ 10-го Мая 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე